ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-0124348763
თარიღი: 13/12/2024

ადრესატი: მპს სვეტრგაზი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404971045
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ნოშარაულის ქ. №29

ბატონო მირიან,

თქვენს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში 2024 წლის 02 დეკემბერს შემოსული N10/01243373525-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2024 წლის 02 ოქტომბერს მიღებული N4-1/დ1748-24 ნშ-370/24 დადგენილებით შეჩერებულ იქნა, ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო N39, საკ. კოდი N01.13.05.004.189-ზე, მიმდინარე ავტოსამრეცხაოს მშენებლობა, შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრამდე. კერძოდ, სს „თელასი"-ს თანხმობის წარმოდგენამდე.

ამასთან, 2024 წლის 06 ნოემბრის N1106/841/24 სს "თელასი"-ს წერილის თანახმად, ელ. დანადგართა მოწყობის წესების მე-6 გამოცემის, მუხლი 2.5.114 და 2.5.24 ცხრილის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო შენობებისთვის ნორმებს (კომერციული, არასაყოფაცხოვრებო საწარმო ობიექტები და ა.შ), დადგენილ იქნა, რომ 35 კვ-ის ელექტროგადასაცემი ხაზიდან შენობა-ნაგებობის სახურავამდე მანძილი ვერტიკალში არ უნდა იყოს 3მ-ზე ნაკლები. ამავე წესებში მითითებული შემთხვევებისთვის გაწერილია დამატებითი მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს, რომ შენობა-ნაგებობა მოწყობილ უნდა იქნეს უწვადი მასალით, ხოლო, ლითონის სახურავი უნდა დამიწდეს მოქმედი ნორმატივის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, თქვენს მიერ, 2024 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმად, ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო N39, საკ. კოდი N01.13.05.004.189-ზე. განთავსებული მშენებარე შენობის უკიდურესი მაღალი წერტილიდან მის თავზე არსებულ მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემ უახლოეს ხაზამდე მანძილი იცვლება 10.77 მ-დან 14.05 მ-მდე. ასევე, თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნა ნებაყოფლობითი სისტემა "უსაფრთხოება და ხარისხი"-ს შესაბამისობის სერთიფიკატი, რომლითაც დადგენილ იქნა სახურავისა და სხვა მასალების ცეცხლმედეგობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიერ, 2024 წლის 12 დეკემბერს მიღებულ იქნა ნშ-370/24-2 დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სამსახურის მიერ 2024 წლის 02 ოქტომბერს მიღებული N4-1/დ1748-24 ნშ-370/24 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ". აღსანიშნავია, ისიც რომ 2024 წლის 10 დეკემბრის N1210/268/24 სს "თელასი"-ს წერილის თანახმად, დამიწება უნდა მოხდეს სახურავის უწვადი მასალით გადახურვის სამუშაოების დასრულების შემდეგ. მოქმედი ნორმატივების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე გადახურვისა და დამიწების სამუშაოების დასრულების შემდგომ, გვევალებათ წარმოადგინოთ განხორციელებული დამიწების სამუშაოების მოქმედ ნორმებთან შესაბამისობამისობის შესახებ საექსპერტო დასკვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის მიერ გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

პატივისცემით,

ზურაბ მამსიკაშვილი

მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსის მოადგილე

გაფორმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი
მერია
018 • 405026877 •